საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 18

ქ. თბილისი 21 ივლისი 2013 წ.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესი თანდართული სახით (დანართი: 6 ფურცელი).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის (შემდგომში - სადისციპლინო კოლეგია) ორგანიზაციული მუშაობის წესს, სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარისა და აპარატის კომპეტენციასა და საქმიანობის ფორმებს.

2. წესი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

თავი II
სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა, ფორმირების წესი, საქმიანობის პრინციპები

მუხლი 2.

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საქმეებს განიხილავს სადისციპლინო კოლეგია.

2. სადისციპლინო კოლეგია საქმიანობას ახორციელებს "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის, ამ წესის და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 3.

1. სადისციპლინო კოლეგია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან 3 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეა, ხოლო 2 არ არის მოსამართლე. სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრებს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის კანდიდატურის დასახელება შეუძლია მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. სადისციპლინო კოლეგიის იმ წევრებს, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ასეთი წევრები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე. ზემოაღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს, წარადგინოს სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოებში

განხორციელებულ სამართალწარმოებაში. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს თითო კანდიდატურა. საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატად წარდგენა არ შეიძლება. კანდიდატურების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის, ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, მათი განხილვის, პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენისა და სადისციპლინო კოლეგიის წევრად არჩევის წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. სადისციპლინო კოლეგიის წევრი აირჩევა 2 წლის ვადით.

2. საქართველოს პარლამენტმა სადისციპლინო კოლეგიის წევრად შეიძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია. სადისციპლინო კოლეგიის წევრად არჩევისას საჭიროა წევრობის კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

3. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ სადისციპლინო კოლეგიის წევრს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, უშუალოდ ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებას ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მუხლი 4.

1. სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე, ან პირი, რომელსაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა რომელიმე ასეთი თანამდებობა;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

2. მოსამართლე არ შეიძლება იყოს სადისციპლინო კოლეგიის წევრი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

მუხლი 5.

1. სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

დ) უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ე) სასამართლოს მიერქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;

ვ) გარდაცვალება;

ზ) დისციპლინური საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;

თ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;

ი) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

კ) შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა.

2.სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს სამოსამართლო ეთიკის სხვა ნორმების დარღვევა.

3. სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისად საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომლებიც ვალდებული არიან შეამოწმონ სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი. ისინი უფლებამოსილი არიან სხდომაზე მიიწვიონ შესაბამისი წევრი და მოისმინონ მისი მოსაზრება. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„ვ" ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი ანსაქართველოს მოსამართლეთაკონფერენცია ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ"–„კ" ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას – კენჭს უყრის გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

4. სადისციპლინო კოლეგიის წევრის დისციპლინურ საქმეს სადისციპლინო კოლეგია განიხილავს ამ წევრის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 6.

1. სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის ადგილია საქართველოს უზენაესი სასამართლო.

2. სადისციპლინო კოლეგიას აქვს ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით.

მუხლი 7.

1. სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმე განიხილება კოლეგიურად. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კოლეგიის არანაკლებ 3 წევრი.

2. სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია - კონფიდენციალური. სადისციპლინო კოლეგიის წევრი და დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი ვალდებული არიან დაიცვან ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 8.

1. სადისციპლინო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში.

2. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

3. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ კოლეგიის წევრები, მათ შორის განსხვავებული აზრის მქონე წევრები.

4. სადისციპლინო კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება დისციპლინური საქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, წერილობით აყალიბებს თავის აზრს, რომელიც თან ერთვის საქმეს.

თავი III
სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე

მუხლი 9.

1. სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარეს კოლეგიის მოსამართლე წევრებისგან ირჩევს სადისციპლინო კოლეგია

2. სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სადისციპლინო კოლეგიის სხდომებს;

ბ) ანაწილებს დისციპლინურ საქმეებს საქმეთა რიგითობის გათვალისწინებით;

გ) აწვდის მოსამართლეთა კონფერენციასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ინფორმაციას სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის შესახებ;

დ) წარმართავს სადისციპლინო კოლეგიის აპარატის მუშაობას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის მოსამსახურეებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტს სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საკითხებს;

ზ) ორგანიზაციას უწევს აპარატის საქმიანობას;

თ) ანაწილებს საქმეებს აპარატის მოსამსახურეებს შორის და აკონტროლებს მათ შესრულებას;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს აპარატის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური წესით დასჯის თაობაზე;

კ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 10.

საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ სადისციპლინოკოლეგიის წევრს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის მიეცემა შესაბამისი ანაზღაურება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დადგენილი ოდენობით, საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

თავი IV
სადისციპლინო კოლეგიის აპარატი

მუხლი 11.

1. სადისციპლინო კოლეგიის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სადისციპლინო კოლეგიის აპარატი (შემდგომში - აპარატი).

2. აპარატის მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე.

3. აპარატის მოსამსახურე არის საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობა.

4. აპარატის შემადგენლობაში შედიან აპარატის მრჩევლები და სპეციალისტი.

5. აპარატის მრჩეველი:

ა) ამზადებს გადაწყვეტილებების პროექტებს;

ბ) აწარმოებს სტატისტიკურ ინფორმაციას სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული საქმეების შესახებ;

გ) განაზოგადებს დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკას;

დ)სპეციალისტის არყოფნაში აწარმოებს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმს;

ე) ასრულებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.

6. აპარატის სპეციალისტი:

ა) რეგისტრაციაში ატარებს სადისციპლინო კოლეგიისათვის გადაცემულ საქმეებს;

ბ) სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით განსახილველად ამზადებს დისციპლინურ საქმეს, საქმის მონაწილე მხარეებს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს, იწვევს შესაბამის პირებს სხდომაზე დასასწრებად და მასში მონაწილეობის მისაღებად;

გ) აწარმოებს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმს;

დ) სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით გადაწყვეტილების ასლებს უგზავნის უფლებამოსილ ორგანოებსა და პირებს;

ე) აკონტროლებს დროებით შეჩერებულ დისციპლინურ საქმეებს, მოიძიებს და გამოითხოვს საჭირო ინფორმაციას და სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარეს დროულად აცნობებს საქმის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შესახებ;

ვ) ზრუნავს დისციპლინური საქმეებისა და სხვა მასალების სათანადოდ შენახვისა და დაცვისათვის;

ზ) ასრულებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.

7. აპარატის მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლის გამჟღავნებაც თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია.

მუხლი 13.

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება ამ წესის დანართის შესაბამისად.

2. აპარატის მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფას ახორციელებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე, ხოლო საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფას - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

3. აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, ასევე საქმიანობის სხვა ხარჯი გათვალისწინებულია და გაიცემა საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

დანართი:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის აპარატის საშტატო ნუსხა და
თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
მრჩეველი	2	1000
სპეციალისტი	1	800